

შპს „ჯი3 ქონსტრაქშენ“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება 31.12.2024 წ დასრულებული პერიოდისთვის

	31.12.2024	01.01.2023
აქტივები		
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	7 786	43 572
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	221 635	213 234
მარაგები	91 737	
გადახდილი ავანსი	10 627	164 550
მოთხოვნა ბიუჯეტის მიმართ	-	
მოკლევადიანი აქტივები	331 785	421 356
არამატერიალური აქტივები	-	
ძირითადი საშუალებები	4 328 791	3 774 985
გრძელვადიანი აქტივები	4 328 791	3 774 985
სულ აქტივები	4 660 576	4 196 341

ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	111 064	108 728
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	78	
საგადასახადო ვალდებულებები	1 852	54 600
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	-	
მოკლევადიანი ვალდებულებები	112 994	163 328
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	3 958 874	3 444 351
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	
გრძელვადიანი ვალდებულებები	3 958 874	3 444 351
სულ ვალდებულებები	4 071 868	3 607 679

საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	588 708	588 662
სულ საკუთარი კაპიტალი	588 708	588 662
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4 660 576	4 196 341

დირექტორი

გიორგი ტომარაძე

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

	31.12.2024	01.01.2023
ამონაგები	7 650 754	2 957 598
თვითღირებულება	(140 968)	
საერთო მოგება	7 509 786	2 957 598

სხვა შემოსავალი	62 677	673 069
დასაქმებულთა ანაზღაურება	(3 162 295)	(242 667)
ცვეთა და ამორტიზაცია	(3 449)	(3 079)
საპროცენტო შემოსავალი	-	
საპროცენტო ხარჯი	-	(701 100)
იჯარის ხარჯი	(315 736)	(38 117)
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	(3 994 151)	(2 057 042)
სულ საოპერაციო ხარჯები	(7 412 955)	(2 368 936)

საოპერაციო მოგება	96 830	588 662
--------------------------	---------------	----------------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
მარაგების გაუფასურება	-	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	(175)	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(67 446)	
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(67 621)	-
მოგების გადასახადი	(29 164)	
მოგება/(ზარალი)	46	588 662

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	46	588 662
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	588 662	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	588 708	588 662

დირექტორი

გიორგი ტომარაძე

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

1. ზოგადი ინფორმაცია

„ჯი3 ქონსტრაქშენ“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2023 წლის 20 აპრილს. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქ. თბილისი ზღვისუბნის დასახლება, Xა კვარტალი, კორპუსი N39, ბინა N46. მისი ძირითადი საქმიანობაა სამშენებლო მოედნის მომზადება და სატრანსპორტო გადაზიდვა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სამუშაო და წარდგენის ვალუტა არის ქართული ლარი. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

4. ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება მაშინ, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება, მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში, შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

5. ხარჯების აღიარება

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

6. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეული იქნა.

7. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადის ჯამი.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

ახალი, ე.წ. „ესტონური“, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით.

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი სასიცოცხლო პერიოდები:

• სამზარეულოს ინვენტარი	2 წელი
• კომპიუტერული ტექნიკა	3 წელი
• საოფისე ტექნიკა	3 წელი
• აიტი ინფრასტრუქტურა	5 წელი
• მანქანა-დანადგარები	5 წელი
• საოფისე ავეჯი და სხვა საინვენტარო ერთეული	7 წელი
• მწვანე ნარგავები	10 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით.

ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა და ზარალში.

9. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით, 15%-იანი წლიური განაკვეთით. თუ არსებობს რაიმე შანსი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

10. აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმშემთხვევაში, თუ წინაწლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

11. იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

14. ბანკის სესხები და ოფერდრაფტები

საპროცენტო ხარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

შენიშვნა 3

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

	12/31/2024	12/31/2023
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	844	-
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	6 942	43 573
სულ	7 786	43 573

შენიშვნა 4
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	12/31/2024	12/31/2023
სავაჭრო მოთხოვნები	221 635	213 234
გადახდილი ავანსები	10 627	164 550
სულ	232 262	377 784

შენიშვნა 5
მარაგები

	12/31/2024	12/31/2023
ნედლეული და მასალები	91 737	-
სულ	91 737	0

შენიშვნა 6
ძირითადი საშვალელები

	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	ტრანსპორტი	სხვა	ჯამი
ნაშთი: 2024 წლის 1 იანვარი	7 418	49 829		3 722 518	3 779 766
შემოსვლები	14014	13500	67 652	524 591	619 756
გადაფასება					0
გასხვისება, ჩამოწერა			(67 652)		(67 652)
ნაშთი: 2024 წლის 31 დეკემბერი	21 432	63 329	0	4 247 109	4 331 870
<i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i>					0
ნაშთი: 2024 წლის 1 იანვარი	(416)	(2 663)			(3 079)
დარიცხვა წლის განმავლობაში					0
გასხვისება და ჩამოწერა					0
ნაშთი: 2024 წლის 31 დეკემბერი	(416)	(2 663)	0		(3 079)
წმინდა საბალანსო ღირებულება: 2024 წლის 1 იანვარი	7 003	47 166	0	3 722 518	3 776 687
წმინდა საბალანსო ღირებულება: 2024 წლის 31 დეკემბერი	21 016	60 666	0	4 247 109	4 328 791

შენიშვნა 7
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

შპს „ჯი 3 კონსტრაქშენ“-ის ფინანსური ანგარიშგება

	12/31/2024	12/31/2023
სავაჭრო ვალდებულებები	111 064	108 728
ვალდებულება საწამოს პერსონალის წინაშე	78	-
სულ	111 142	108 728

შენიშვნა 8
საგადასახადო ვალდებულებები

	12/31/2024	12/31/2023
დღგ	1 852	54 600
სულ	1 852	54 600

შენიშვნა 9
სესხები

	12/31/2024	12/31/2023
ლიზინგი	3 958 874	3 444 351
სულ	3 958 874	3 444 351

შენიშვნა 10

ამონაგები

	12/31/2024	12/31/2023
ამონაგები	7 650 754	2 957 598
სულ	7 650 754	2 957 598

შენიშვნა 11

საოპერაციო ხარჯები

	12/31/2024	12/31/2023
თვითღირებულება	140 968	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	3 162 295	242 667
იჯარის ხარჯი	315 736	38 117
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	3 994 151	2 057 042
ცვეთა და ამორტიზაცია	3 449	3 079
სულ ხარჯი	7 616 600	2 340 905

შენიშვნა 12

შპს „ჯი 3 კონსტრაქშენ“-ის ფინანსური ანგარიშგება

არასაოპერაციო შემოსავალი	12/31/2024	12/31/2023
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	62 677	673 069
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	62 677	673 069

შენიშვნა 13

არასაოპერაციო ხარჯი	12/31/2023	12/31/2022
კურსთაშორის სხვაობა	175.00	0.00
არასაოპერაციო ხარჯი	67 446	-
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	67 446	-

მიმდინარე სასამართლო დავები

ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის კომპანიას არ გააჩნია მიმდინარე სასამართლო დავა

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია 2025 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

გიორგი ტომარაძე